სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

21053313080918

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N180503925

რეგისტრაციის თარიღი

04.05.2018 წ

ნოტარიუსი: მაია ბიგვავა
მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი #26
ტელეფონი: 2999620, 2932317

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას თვრამეტი წლის ოთხ მაისს მე, ნოტარიუს მაია ბიგვავას ჩემს სანოტარო ბიუროში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი №26. მომმართა შპს-მ „ნაქა" წარმოდგენილმა დირექტორის (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ნაქა" -ს შესახებ, ს/კ 204418745) ნასერ ყაჰრემანი გარგარის (დაბადებული 23.08.1964წ. პასპორტის **F40704275** გაცემული ირანის ისლამურ რესპუბლიკაში 25.02.2017წ.) სახით. მან განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომელიც დამოწმდება სანოტარო წესით. მე დავადგინე ნასერ ყაჰრემანი გარგარის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი, ზემოთ მითითებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ნასერ ყაჰრემანი გარგარმა მომმართა. მინდობილობის დადასტურებაში მოანწილეობდა მის მიერ შერჩეული, ჩემთვის ცნობილი თარჯიმანი, ფათემე რაფიი (პირადი № 01027041507), რომელიც ჩემს, ნოტარიუსის მიერ გაფრთხილებულ იქნა თარგმანის სიზუსტეზე პასუხისმგებლობისა და თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ. ვადასტურებ, რომ ნასერ ყაჰრემანი გარგარის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. მე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობა, რომელიც მან თვითონ წაიკითხა. ნასერ ყაჰრემანი გარგარმა მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას. ნასერ ყაჰრემანი გარგარმა ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მინდობილობა

ორი ათას თვრამეტ წლის ოთხ მაისს შპს „ნაქა" წარმოდგენილი დირექტორის (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ნაქა" -ს შესახებ, ს/კ 204418745) ნასერ ყაჰრემანი გარგარის სახით, ამ მინდობილობით, ადელ ყაჰრემანი გარგარის (დაბ. 24.09.1971წ. პირადი № 01092000276,) და ქეთევან კოკაძეს (დაბადებული 08.01.1976წ. პირადი № 60001009411) ერთად და / ან ცალ-ცალკე ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

შპს „ნაქა" -ს (ს/კ 204418745) სრულუფლებიანი წარმომადგენელი ყველა მესამე პირთან, მათ შორის ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოსთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, ამავე სამინისტროს შემოსავლების სამსახურებთან, საგადასახადო და საბაჟო სამსახურებთან, გაფორმების ეკონომიკურ ზონასთან, თბილისის იუსტიციის სახლთან, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან, იუსტიციის სამინისტროს საჯარო და სამეწარმეო რეესტრების ტერიტორიულ სამსახურებთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, ასევე საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში. მიმართოს მათ საჭირო განცხადებებით, განაცხადებით თუ სხვა სახის მოთხოვნებით, მიიღოს მათგან შესაბამისი პასუხები, ნებართვები. წარადგინოს, მიიღოს და ხელი მოაწეროს შპს „ნაქა" -ს (ს/კ 204418745) სახელზე გაცემულ ნებისმიერ დოკუმენტს, გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება.

წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მინდობილ პირს უფლება აქვს:

შპს „ნაქა" -ს (ს/კ 204418745) სახელით შეიძინოს, იჯარით აიღოს ნებისმიერი სახის უძრავი ან მოძრავი ქონება (ქონების ხარისხი, ნასყიდობის ფასი და ხელშეკრულების სხვა პირობები განსაზღვროს თავისი შეხედულებისამებრ, მოახდინოს მოძრავი ქონების ტრანსპორტირება), რისთვისაც ხელი მოაწეროს სათანადო ხელშეკრულებებს, ასევე შეთანხმებებს აღნიშნულ ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის ან გაუქმების შესახებ.

შპს „ნაქა" -ს (ს/კ 204418745) სახელით ნებისმიერ ბანკში გახსნას და/ან დახუროს, მართოს და განკარგოს ნებისმიერი (მათ შორის უკვე გახსნილი) საბანკო (მათ შორის შემნახველი, საკრედიტო, დეპოზიტური, ანგარიშსწორების თუ სხვა) ანგარიში, რისთვისაც წარადგინოს/შეავსოს საჭირო განაცხადი, მოახდინოს ინტერნეტ ბანკინგის რეგისტრაცია, მიიღოს ინტერნეტ ბანკინგის კოდი, მიიღოს დიჯიპასი, ისარგებლოს ინტერნეტ ბანკინგის მომსახურეობით. საზოგადოების ანგარიშებიდან წარმოოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია, მათ შორის, მოხსნას, ჩარიცხოს და გადარიცხოს ანგარიშებიდან თანხები, მოახდინოს ვალუტის კონვერტაცია, მიიღოს ინფორმაცია საზოგადოების ნებისმიერი ტიპის საბანკო დავალიანების შესახებ, მიიღოს ნებისმიერი სახის ამონაწერი, საბანკო ოპერაციის, ცნობები, შეუკვეთოს და მიიღოს პლასტიკური ბარათი.

შპს „ნაქა" -ს (ს/კ 204418745) სახელით მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოს ან კერძო სამართლის სუბიექტის მიერ გამოცხადებულ ნებისმიერ აუქციონში და ტენდერში, წარადგინოს და ხელი მოაწეროს სააუქციონო და სატენდერო განაცხადს თუ სხვა საჭირო დოკუმენტაციას, განსაზღვროს აუქციონზე და ტენდერზე შეძენილი ნივთის ნასყიდობის

ე სხვა სახელშეკრულებო პირობები, გადაიხადოს აუქციონში და ტენდერშ
ლეობისათვის აუცილებელი ყველა სახის გადასახადი.
„ ნაქა " -ს (ს/კ 204418745) სახელით ხელი მოაწეროს ნებისმიერ გარიგებას, ასევ
შეთანხმებებს გარიგებებში ცვლილებების შეტანის თუ გაუქმების შესახებ. იყოს საზოგადოებრ
სრულუფლებიანი წარმომადგენელი სანოტარო ბიუროში.

მინდობილი პირი უფლებამოსილია ნებისმიერ საბაჟო ტერმინალზე მიიღოს შპს „ ნაქა " -ს (ს/კ 204418745) სახელზე გამოგზავნილი ნებისმიერი სახის ტვირთი, მოახდინოს ტვირთის ტრანსპორტირება, აწარმოოს საბაჟო, საბროკერო და სატერმინალო ოპერაციები, მოახდინოს ტვირთის განბაჟება, გადაიხადოს ნებისმიერი სახის გადასახადი.

დაიცვას შპს „ ნაქა " -ს (ს/კ 204418745) ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები. ამ მიზნით მინდობილი პირი მიმნდობს წარმოადგენს **საქართველოს** საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებში, კერძო არბიტრაჟში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში და აწარმოებს შესაბამის სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეს. აღნიშნულის განსახორციელებლად მინდობილი უფლებამოსილია მიმნდობის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია **საქართველოს** კანონმდებლობით მათ შორის: მიმნდობის სახელით შეიტანოს განცხადება და არ სარჩელი სასამართლოში, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი ან დაიბრუნოს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, აღძრას სასამართლოს წინაშე შუამდგომლობანი, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვას სარჩელზე, შეცვალოს სარჩელის საგანი და ან საფუძველი გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, დაამთავროს საქმე მორიგებით **გაასაჩიეროს სასამართლოს ნებისმიერი აქტი**, წარადგინოს სააპელაციო და საკასაციო საჩივარი მიიღოს სააღსრულებო ფურცელი, წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი აღსრულების ეროვნულ ბიუროში და აწარმოოს სააღრსულებო საქმე. მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მიმნდობის კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად.
მინდობილობა გაცემულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს მ. ბიგვავას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.
სანოტარო აქტს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში თან ერთვის: **ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ ნაქა " -ს (ს/კ 204418745) შესახებ. (ელექტრონული ვერსია).**
მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით და ძალაშია 2021 წლის 4 მაისის ჩათვლით
სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდევინებულია საზღაური 13,8 ლარი. მათ შორის 10 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლის საფუძველზე, სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ამავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ხოლო 1,8 ლარი–დღგ, თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169–ე მუხლისა.

ხელმოწერა

თარჯიმანი

ნოტარიუსი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180503977
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	04.05.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	მაია ბიგვავა
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი #26
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2999620, 2932317
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	85271992658118

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მე ნოტარიუსი მაია ბიგვავა, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზირი №26, ვადასტურებ ამ ფოტოასლის იდენტურობას მის დედანთან.

6 გვერდი

1 ეგზემპლარი

სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდევინებულია საზღაური 3.54 ლარი. მათ შორის 3.0 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 0.54 ლარი–დღგ თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169–ე მუხლისა.

ნოტარიუსი:
მაია ბიგვავა